საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები სასპეციალიზაციო გამოცდა

პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ორ მოდულს:

1. ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა;
2. ახალი და უახლესი პერიოდის საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა.

საგამოცდო ბილეთის ფორმატი:

წერითი სასპეციალიზაციო გამოცდა ჩატარდება საქართველოს ისტორიაში. ნამუშევარი შეფასდება 100 ბალიანი სისტემით. საგამოცდო ბილეთში იქნება ოთხი საკითხი, რომელთაგან თითოეულის შეფასებისათვის უმაღლესი ქულაა 25. გამოცდის ხანგრძლივობა 3 საათი. აპლიკანტის შეფასებისას ყურადღება მიექცევა იმას, თუ რამდენად ზუსტად პასუხობს მისი ნამუშევარი საკითხს; რამდენად სრულია წარმოდგენილი ფაქტობრივი მონაცემები და რამდენად ლოგიკურია მისი მსჯელობა; მართლწერისა და პუნქტუაციის დაცვას ასევე მიექცევა დიდი ყურადღება.

საგამოცდო საკითხები

1. საისტორიო წყაროების კლასიფიკაცია.
2. კოლხეთი ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში.
3. ქართლის სამეფოს წარმოქმნა. მეფე ფარნავაზი.
4. ქრისტიანობის აღიარება ქართული სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიად და მისი მნიშვნელობა.
5. საეკლესიო განხეთქილება ქართლსა და სომხეთს შორის.
6. მეფე ბაგრატ III.
7. დიდგორის ბრძოლა.
8. ყუთლუ არსლანის დასის შეტევა სამეფო ხელისუფლებაზე.
9. ქართული კულტურა XI-XII სს (ისტორიოგრაფია, ფილოსოფია, სამართალი).
10. მეფე სიმონ I.
11. გეორგიევსკის ტრაქტატი (1783 წლის 24 ივლისი) (უნდა განიმარტოს ხელშეკრულების დადების წინაპირობები და წარმოჩენილ იქნას თავად დოკუმენტის შინაარსი).
12. 1812 წლის აჯანყება კახეთში.
13. ეროვნული მოძრაობა XIX საუკუნის 60-80-იან წლებში.
14. XIX საუკუნის ქართული კულტურა (პრესა და პუბლიცისტიკა).
15. საქართველოს სახალმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისი (უნდა აღიწეროს წინაპირობები და განმარტებულ იქნას ამ ფაქტის მნიშვნელობა ქართველი ერის ისტორიაში).
16. XX საუკუნის 90-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში. 1989 წლის 9 აპრილი (წანამძღვრები და პოლიტიკური შედეგები)

ლიტერატურა:

1. საქართველოს ისტორია, ტომი პირველი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2006. რედ. მ.ლორთქიფანიძე.
2. საქართველოს ისტორია (მე-13-18 საუკუნეები), ტომი მეორე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008. რედ. ნ.ასათიანი და გ.ჯამბურია.
3. საქართველოს ისტორია, მე-19 საუკუნე. გამოცემლობა "არტანუჯი", 2004, რედ. ვ. გურული და ბ. კუპატაძე.

4. საქართველოს ისტორია, მე-20 საუკუნე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა გამომცემლობა ,"არტანუჯი" 2003. რედ. ვ. გურული.

მიზანშეწონილია, უპასუხოთ ყველა კითხვას და დრო თანაბრად გაანაწილოთ საკითხებზე.
გახსოვდეთ: უპასუხოდ დატოვებული კითხვა ფასდება 0 ქულით!

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს
პროფ. მარიამ ჩხარტიშვილს.
ტელ: 5 99 71 40 15 (მობ.) 2 37 19 42 (ბინა)
ელ-ფოსტა: mary.chkhartishvili@gmail.com; mariam.chkhartishvili@tsu.ge